ავტომობილის ნასყიდობის

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

_____ _____ 2022 **ქ. თბილისი**

ფ/პ _____ _____ (პ/ნ _____) (შემდეგში - **„გამყიდველი“**), ერთის მხრივ, და შპს _____ (ს/ნ _____) (შემდეგში - **„გამყიდველი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____ (პ/ნ _____) სახით, მეორეს მხრივ, **„გამყიდველი“** და **„მყიდველი“** ერთად წოდებულნი როგორც - **„მხარეები“**, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. „ხელშეკრულების“ საგანი

1.1. **„გამყიდველმა“** გაყიდა, ხოლო **„მყიდველმა“** იყიდა **„გამყიდველის“** საკუთრებაში/ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება - მსუბუქი ავტომობილი (შემდეგში - **„ნასყიდობის საგანი“**), რომლის ტექნიკური მახასიათებლებია:

მწარმოებელი (მარკა):

მოდელი:

სარეგისტრაციო ნომერი (სახელმწიფო ნომერი):

საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN):

გამოშვების წელი:

ფერი:

1.2. **„ხელშეკრულებაზე“** ხელისმოწერით **„გამყიდველი“** საკუთრებაში გადასცემს, ხოლო **„მყიდველი“** საკუთრებაში იღებს **„ნასყიდობის საგანს“**;

1.3. **„ნასყიდობის საგნის“** ღირებულება ჯამურად შეადგენს _____ ლარს, რომელიც **„მყიდველის“** მიერ **„გამყიდველისთვის“** **„ხელშეკრულების“** გაფორმების მომენტისათვის გადახდილია სრულად. **„ხელშეკრულება“** წარმოადგენს **„მყიდველის“** მიერ **„გამყიდველისთვის“** **„ნასყიდობის საგნის“** ღირებულების სრულად გადახდის

დამადასტურებელ დოკუმენტს და მასზე ცალკე, დამოუკიდებელი დოკუმენტის გაფორმება აღარ განხორციელდება;

1.4. **„ნასყიდობის საგნის“** ხარისხი და მდგომარეობა შეთანხმებულია **„მხარეთა“** შორის:

1.4.1. **„ნასყიდობის საგანი“** ნივთობრივად უნაკლოა;

1.4.2. **„მყიდველმა“** შეამოწმა და მოიწონა **„ნასყიდობის საგნის“** მდგომარეობა და ხარისხი.

1.5. **„ხელშეკრულების“** ტექსტი სრულიად შეესაბამება და გამოხატავს **„მხარეთა“** ნებას, რასაც ვადასტურებთ **„ხელშეკრულებაზე“** ხელისმოწერით.

„გამყიდველი“: ფ/პ _____ _____ (პ/ნ _____)

_____

„მყიდველი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

_____ „გამყიდველი“ _____ „მყიდველი“